# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება № გ-93. 93243413

**2024 წლის 6 დეკემბერი**

**ლაგოდეხი**

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ლელიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბებურიანსა და სოფელ ლელიანში მდებარე, საერთო ქუჩისათვის წმინდა თეოდორე ტირონის სახელის მინიჭების (სახელდების) თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

მიენიჭოს წმინდა თეოდორე ტირონის სახელი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, ლელიანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბებურიანსა და სოფელ ლელიანში მდებარე საერთო ქუჩას, თანდართული რუკის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ამ განკარგულების საფუძველზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**მუხლი 3**

ეს განკარგულება, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში გადაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ-ს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ-,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს"-გამოსაქვეყნებლად.

**მუხლი 4**

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 5**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **კარლო ჯამბურია**